საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია'' - მე -5 კომპონენტის (1-2 დონის მოდულის პილოტირება პროფესიული ორიენტაციისთვის სოფლის მეურნეობის მოსამზადებელ კურსებში და სხვა სახელობო სფეროებში) ფარგლებში 8 **დარგობრივი ექსპერტის შერჩევის მიზნით შემდეგი მიმართულებებით:**

ა) კულინარია;
ბ) კონდიტერია;
გ) ხის სამუშაოები;
დ) ელექტროობა;
ე) მევენახეობა;
ვ) რძის პროდუქტების მიღება;
ზ) მებოსტნეობა;
თ) სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტექნიკური მომსახურება.

კონკურსი ცხადდება **2017 წლის 25 იანვარს** და განცხადებების წარდგენის **ბოლო ვადაა 2017 წლის 30 იანვრამდე.**

<u>კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს იმ ვაკანსიის დასახელება, რომელზედაც აპირებს განაცხადის გაკეთებას (info@eqe.ge, -ზე დოკუმენტაციის გამოგზავნას).</u>

<u>მაგალითად :</u> **დარგობრივი ექსპერტი კულინარიის მიმართულებით;**

დარგობრივი ექსპერტი კონდიტერიის მიმართულებით;

დარგობრივი ექსპერტი ხის სამუშაოების მიმართულებით;

დარგობრივი ექსპერტი ელექტროობის მიმართულებით;

დარგობრივი ექსპერტი მევენახეობის მიმართულებით;

დარგობრივი ექსპერტი რძის პროდუქტების მიღების მიმართულებით;

დარგობრივი ექსპერტი მებოსტნეობის მიმართულებით;

დარგობრივი ექსპერტი სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტექნიკური მომსახურების მიმართულებით.

წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა – **8**;

კონკურსის შედეგად დარგობრივი ექსპერტის თანამდებობაზე (შესაბამისი მიმართულებით) შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 17 აპრილის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვრება 650 ლარის ოდენობით თითო მოდულთან მიმართებაში.

დარგობრივი ექსპერტის (შესაბამისი მიმართულებით) მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) დარგის შესაბამისი კომპეტენციების არსებობა;
ბ) პროფესიული პროგრამების / მოდულების შექმნის გამოცდილება;
გ) მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებზე მუშაობის გამოცდილება;
დ) ქართულ ენაზე წერისა და მეტყველების კარგი უნარები.

დარგობრივი ექსპერტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) მოდულების შექმნა შერჩეული კომპეტენციებისათვის:
ა.ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსების ორგანიზებისათვის ადაპტირებული მოდულების შექმნა.
ბ) მასწავლებელთა გზამკვლევების შექმნა და ინტეგრირება მოდულში:
ბ.ა) საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის ორგანიზებისათვის პრაქტიკული რეკომენდაციების მომზადება თითოეულ სასწავლო შედეგთან მიმართებაში დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;
ბ.ბ) აქტივობების გაწერა ხორციელდება ფსიქოლოგებთან და კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სპეციალისტთან თანამშრომლობით.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge, აუცილებლად უნდა გამოაგზავნოს:
ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:
ა) განცხადებების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება.